

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-33/ნ

2021 წლის 14 აპრილი

ქ. თბილისი

„პერინატალური სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების თვითშეფასების ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 29 მარტის №01-29/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„პერინატალური სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების თვითშეფასების ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 29 მარტის №01-29/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 29/03/2019, 470000000.22.035.016598) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული:

ა) №1 დანართით (თვითშეფასების ანგარიშის ფორმა I დონის პერინატალური სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებებისთვის) განსაზღვრული ცხრილის IV ნაწილი (კადრები (საექიმო საქმიანობის დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელი ექიმ-სპეციალისტები და შესაბამისი კვალიფიკაციისა და განათლების მქონე ექთნები) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

»

IV	კადრები (საექიმო საქმიანობის დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელი ექიმ-სპეციალისტები და შესაბამისი კვალიფიკაციისა და განათლების მქონე ექთნები)	არსებობა (დიახ/არა)	რაოდენობა
1	მეან-გინეკოლოგი (ადგილზე 24-საათიანი ხელმისაწვდომობით)		
2	მეან-გინეკოლოგი საკეისრო კვეთის ჩატარების გამოცდილებით		
3	ნეონატოლოგი, ახალშობილთა რეანიმაციის უნარ-ჩვევებით (ადგილზე 24-საათიანი ხელმისაწვდომობით)		
4	ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი (ადგილზე 24-საათიანი ხელმისაწვდომობით)		
5	ბეზიაქალი (24-საათიანი ხელმისაწვდომობა)		
6	ექთანი (24-საათიანი ხელმისაწვდომობა)		
7	დაწესებულების ყველა ნეონატოლოგი და ყველა მეან-გინეკოლოგი მონაწილეობს უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემაში		

“;



ბ) №2 დანართით (თვითშეფასების ანგარიშის ფორმა II დონის პერინატალური სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებებისთვის) განსაზღვრული ცხრილის:

ბ.ა) IV ნაწილი (კადრები) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

»

IV	კადრები	არსებობა (დიახ/არა)	რაოდენობა
1	მეან-გინეკოლოგი (24-საათიანი ხელმისაწვდომობა) სულ მცირე 1 მეან გინეკოლოგი ადგილზე 24-საათიანი უწყვეტი ხელმისაწვდომობით.		
2	ორი ან მეტი მეან-გინეკოლოგი არანაკლებ ხუთწლიანი სამუშაო სტაჟით მეანობა-გინეკოლოგიაში (მეანობის განხრით), ამასთან, ჰისტერექტომიისა და სხვა სამეანო-გინეკოლოგიური ოპერაციული პროცედურების წარმოების გამოცდილებით		
3	ნეონატოლოგები (24-საათიანი უწყვეტი ხელმისაწვდომობა) ახალშობილთა რენიმაციის უნარ-ჩვევებით		
4	ექიმ-სპეციალისტები ბავშვთა ქირურგიული კონსულტაციებისთვის - ადგილზე 24-საათიანი ხელმისაწვდომობით		
5	ექიმ-სპეციალისტები ზოგადი ქირურგიული კონსულტაციებისთვის - ადგილზე 24-საათიანი ხელმისაწვდომობით		
6	ექოკარდიოგრაფიის სპეციალისტი - ადგილზე 24-საათიანი ხელმისაწვდომობით		
7	ანესთეზიოლოგ-რენიმატოლოგი – სპინალური, ეპიდურალური და ზოგადი ანესთეზიის, ასევე რენიმაციული დონისძიებების განხორციელების გამოცდილებით (24-საათიანი ხელმისაწვდომობა)		
8	ბებიუქალების (24-საათიანი ხელმისაწვდომობა) – ჯამური რაოდენობა, ასევე, რაოდენობა სამშობიარო ოთახზე (ბლოკ-პალატაზე) გადაანგარიშებით		
9	ექთნები (24-საათიანი ხელმისაწვდომობა), მ.შ.:		
9.1.	სამეანო ექთანი – ჯამური რაოდენობა, ასევე რაოდენობა სამეანო საწოლებთან მიმართებით		
9.2.	ახალშობილთა ექთანი – ჯამური რაოდენობა, ასევე რაოდენობა ნეონატალურ საწოლებთან მიმართებით		
9.3	ახალშობილთა სპეცმოვლის ექთანი – ჯამური რაოდენობა, ასევე რაოდენობა სპეცმოვლის საწოლებთან მიმართებით		
9.4	პოსტოპერაციული მოვლის ექთანი – ჯამური რაოდენობა, ასევე რაოდენობა პოსტოპერაციულ საწოლებთან მიმართებით		
10	დაწესებულების ნეონატოლოგები და მეან-გინეკოლოგები მონაწილეობენ უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემაში		



ბ.ბ) VIII ნაწილის (აღჭურვილობა) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

7	მობილური (გადასატანი) რენტგენოლოგიური გამოკვლევის აპარატი, როგორც მოზრდილთა, ასევე ახალშობილების ოპციით.		
---	--	--	--

“;

ბ.გ) IX ნაწილის (ახალშობილის მოვლის პალატის/ახალშობილთა სპეციალური მოვლის პალატის აღჭურვილობა) მე-15 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-16 პუნქტი:

”

16	ლარინგოსკოპი, სოლები (0 და 1 ზომის)		
----	--------------------------------------	--	--

“;

გ)№3 დანართით (თვითშეფასების ანგარიშის ფორმა III დონის პერინატალური სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებებისთვის) განსაზღვრული ცხრილის:

გ.ა) IV ნაწილი (კადრები) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

IV	კადრები	არსებობა (დიახ/არა)	რაოდენობა
1	მეან-გინეკოლოგები		
2	ორი ან მეტი მეან-გინეკოლოგი, არანაკლებ ხუთწლიანი სამუშაო სტაჟით მეანობა-გინეკოლოგიაში (მეანობის განხრით), ამასთან, ჰისტერექტომიისა და სხვა სამეანო-გინეკოლოგიური ოპერაციული პროცედურების წარმოების გამოცდილებით, ადგილზე 24-საათიანი უწყვეტი სამეანო მოვლის ხელმისაწვდომობისათვის;		
3	ნეონატოლოგები (ადგილზე 24-საათიანი, უწყვეტი ხელმისაწვდომობა) რესპირაციული დახმარების მიწოდების გამოცდილებით		
4	ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგები (სპინალური, ეპიდურალური და ზოგადი ანესთეზიის, ასევე რეანიმაციული ღონისძიებების განხორციელების გამოცდილებით).ადგილზე უწყვეტი ხელმისაწვდომობა 24 საათის განმავლობაში		



5	რადიოლოგის (მ.შ. ექოკარდიოგრაფიის წარმოების უფლებით; იმ შემთხვევაში, თუ რადიოლოგს არა აქვს ექოკარდიოგრაფიის წარმოების უფლება, ექოკარდიოგრაფიული სერვისი უნდა მიეწოდებოდეს ბავშვთა კარდიოლოგ-რევმატოლოგის მიერ, შესაბამისი უფლების ფლობის შემთხვევაში) ადგილზე უწყვეტი ხელმისაწვდომობა 24 საათის განმავლობაში;		
IV.1	ექიმი სპეციალისტები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, მომსახურებას გაუწევენ ახალშობილს ადგილზე ხელმისაწვდომობით 24 საათის განმავლობაში:		
1	ბავშვთა კარდიოლოგ-რევმატოლოგი		
2	ბავშვთა ქირურგი		
3	ბავშვთა ნეფროლოგი		
4	ექიმ-გენეტიკოსი		
5	ბავშვთა ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი;		
6	ბავშვთა ენდოკრინოლოგი		
7	ოფთალმოლოგი		
8	ბავშვთა ფთიზიატრი-პულმონოლოგი		
9	ბავშვთა ნეფროლოგი		
10	ნეიროქირურგი		
11	ბავშვთა უროლოგი		
IV.2	ექიმი სპეციალისტები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, მომსახურებას/კონსულტაციას გაუწევენ ორსულს/მშობიარეს/მელოგინეს, ადგილზე ხელმისაწვდომობით 24 საათის განმავლობაში:		
1	ქირურგი		
2	ნეფროლოგი/ნეიროქირურგი		
3	ჰემატოლოგ-ტრანსფუზიოლოგი		
4	უროლოგი		
5	ნეფროლოგი		
6	კარდიოლოგი		
7	ინფექციონისტი		
8	ენდოკრინოლოგი		
IV.3	ექთნები/ზეზბიაკლები იმ რაოდენობით და კვალიფიკაციით, რომელიც საჭიროა ყველა ორსულის, მშობიარის, მელოგინე ქალის და ახალშობილის ადეკვატური მოვლისათვის.		



1	სამეანო ექთანი – ჯამური რაოდენობა , ასევე რაოდენობა სამეანო საწოლებთან მიმართებით		
2	ახალშობილთა ექთანი – ჯამური რაოდენობა, ასევე რაოდენობა ნეონატალურ საწოლებთან მიმართებით		
3	პოსტოპერაციული მოვლის ექთანი – ჯამური რაოდენობა, ასევე რაოდენობა პოსტოპერაციულ საწოლებთან მიმართებით		
4	ბეზიქალების (24-საათიანი ხელმისაწვდომობა) – ჯამური რაოდენობა, ასევე, რაოდენობა სამშობიარო ოთახზე (ბლოკ-პალატაზე) გადაანგარიშებით		
IV.4	დაწესებულების ნეონატოლოგები და მეან-გინეკოლოგები მონაწილეობენ უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემაში		

“

გ.ბ) V ნაწილი (ლაბორატორიული სერვისების მიწოდება) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

V	ლაბორატორიული გამოკვლევები – დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს 24 საათის განმავლობაში შემდეგი ლაბორატორიული გამოკვლევების შესრულება ადგილზე, კანონმდებლობის შესაბამისად:	არსებობა (დიახ/არა)	შენიშვნა
1	ჰემატოკრიტი, გლუკოზის დონე სისხლში (შრატის გლუკოზა), სისხლის გაზები და ელექტროლიტები – საჭიროების განსაზღვრიდან არაუმეტეს 45 წუთის განმავლობაში		
2	სისხლის საერთო ანალიზი საჭიროების განსაზღვრიდან 1 სთ-ის განმავლობაში		
3	სისხლის ჯგუფი და Rh კუთვნილება და შეთავსება -საჭიროების განსაზღვრიდან 1 სთ-ის განმავლობაში		
4	გაშლილი ბიოქიმიური ანალიზები, ნიმუშების ბაქტერიოლოგიური და კოაგულაციური ანალიზები (პროთრომბინის დრო – PT, ნაწილობრივი თრომბოპლასტინის დრო – PTT, ფიბრინოგენი) – საჭიროების განსაზღვრიდან 2 საათის განმავლობაში		
5	ანტი-რეზუს ანტისხეულების სკრინინგი – კუმბსის ტესტი (პირდაპირი და არაპირდაპირი) საჭიროების განსაზღვრიდან 2 საათის განმავლობაში		
6	ბილირუბინის განსაზღვრა ახალშობილებში – საჭიროების განსაზღვრიდან 1 საათის განმავლობაში		
7	ბაქტერიოლოგიური კვლევები, ანტიბიოტიკებისადმი მგრძობელობის განსაზღვრით – სავარაუდო, პირველადი შედეგები ნიმუშის მიღებიდან 72 საათის განმავლობაში, საბოლოო შედეგები ანტიბიოტიკების მიმართ მგრძობელობის ჩათვლით ნიმუშის მიღებიდან 5 სამუშაო დღეში, გამონაკლისს წარმოადგენს სისხლის კულტივაცია, რაც შესაძლებელია გახანგრძლივდეს 10 დღემდე (სერვისი შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულებით);		



8	შრატში მაგნიუმის განსაზღვრა		
9	B ჯგუფის სტრეპტოკოკი, B ჰეპატიტის ზედაპირული ანტიგენი, სეროლოგიური ტესტები სიფილისზე – RPR/VDRL, აივ ინფექცია/შიდსზე		
10	შარდის საერთო ანალიზი		
11	სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სკრინინგული ტესტები ახალშობილებისთვის		

“;

გ.გ) VI ნაწილის (სხვა სერვისების მიწოდება) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

1	24 სთ-იან რეჟიმში ხელმისაწვდომი უნდა იყოს სისხლის კომპონენტები ადგილობრივი მარაგებიდან, ასევე სხვა დაწესებულებებიდან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე (თუ დაწესებულებას თვითონ არ გააჩნია საწარმოო ტრანსფუზიოლოგიის სამსახური);		
---	---	--	--

“;

ბ.დ) VIII ნაწილი (აღჭურვილობა) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

VIII	აღჭურვილობა	არსებობა (დიახ/არა)	რაოდენობა
VIII.1	ახალშობილის მოვლის პალატის აღჭურვილობა		
1	ახალშობილის მაგიდა სხივური გამათბობლით და სერვოკონტროლით		
2	ოქსიგენოთერაპიის საშუალებები (მაგალითად, ჟანგბადის კარავი ან ნაზალური კანულა		
3	მოწყობილობა ჰაერ-ჟანგბადის ნაკადის გათბობისა და დატენიანებისთვის		
4	ჭიპლარის სისხლმარღვების კათეტერი და კათეტერის ჩასადგმელი კომპლექტი		
5	ინფუზომატი		
6	გლუკომეტრი		
7	ახალშობილის სასწორი		
8	ოფთალმოსკოპი		



9	აღჭურვილობა ახალშობილთა სმენის პირველადი სკრინინგული (ოტოაკუსტიკური ემისიის მეთოდით) კვლევისათვის		
VIII.2	სამეანო ბლოკ-პალატის ძირითადი აღჭურვილობა		
1	კედლის საათი წამზომით		
2	კედლის თერმომეტრი		
3	უსაფრთხო სითბოს წყარო		
4	სტეტოსკოპი		
5	ელექტროამოსაქაჩი მოწყობილობა დედისთვის		
6	სამშობიარო საწოლი (ტრანსფორმირებადი)		
7	ცენტრალიზებული ჟანგბადის წყარო დედისთვის, ფლოუმეტრით		
8	სარეანიმაციო აღჭურვილობა დედებისათვის ამბუს ტომარა ნიღბით, ლარინგოსკოპი და სოლები, ოროტრაქეალური მილები		
9	კარდიომონიტორი		
10	კარდიო-ტოკოგრაფიის აპარატი		
11	ახალშობილის მაგიდა სხივური გამათბობლით და სერვოკონტროლით		
12	ნეონატალური სტეტოსკოპი		
13	ცენტრალიზებული ჟანგბადის წყარო (ფლოუმეტრით) და ჰაერის წყარო ახალშობილისთვის		
14	ჰაერის/ჟანგბადის შემრევი (ახალშობილისთვის)		
15	T ტიპის მოწყობილობა		
16	ოროტრაქეალური მილები (2.5-3.5მმ დიამეტრის ზომით)		
17	ლარინგოსკოპი, სოლები (00, 0 და1 ზომის)		
18	ელექტროამოსაქაჩი მოწყობილობა ახალშობილებისთვის		
19	პულსოქსიმეტრი ნეონატალური მიმღებით ან კარდიომონიტორი შესაბამისი ნეონატალური მიმღებებით		
20	გასტრალური ზონდი ახალშობილებისთვის (6-8Fr)		
VIII.3	სამეანო საოპერაციო ბლოკის დამატებითი აღჭურვილობა		
1	საოპერაციო მაგიდა		
2	დაგეგმილი განათება		
3	ანესთეზიის აპარატი		



4	ახალშობილის მაგიდა სხივური გამათბობლით და სერვოკონტროლით		
5	ნეონატალური სტეტოსკოპი		
6	კედლის თერმომეტრი		
7	უსაფრთხო სითბოს წყარო		
8	ახალშობილის ელექტროამომქაჩი		
9	ცენტრალიზებული ჟანგბადის წყარო ფლოუმეტრით		
10	ჰაერის/ჟანგბადის შემრევი		
11	T ტიპის მოწყობილობა		
12	გასტრალური ზონდები (6-8 Fr)		
13	პულსოქსიმეტრი ნეონატალური მიმღებით ან კარდიომონიტორი შესაბამისი ნეონატალური მიმღებებით		
14	ლარინგოსკოპი, სოლები (00,0 და 1 ზომის)		
VIII.4	დაწესებულებაში ხელმისაწვდომი აღჭურვილობა		
1	ინფუზომატი		
2	კარდიოვერსიის დეფიბრილაციის აპარატი დედებისთვის		
3	მაშები და ვაკუუმექსტრაქტორები		
4	მობილური (გადასატანი) სამეანო ულტრაბგერის აპარატი		
5	მობილური (გადასატანი) რენტგენოლოგიური გამოკვლევის აპარატი ახალშობილებისთვის და მოზრდილებისთვის		
6	კომპიუტერული ტომოგრაფი (CT)		
7	ენცეფალოგრაფიის აპარატი (შესაძლებელია გამოძახებით)		
8	ულტრასონოგრაფიის აპარატი (ნეიროსონოსკოპიის და ექოკარდიოგრაფიის მიმღებით/გადამწოდით)		

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრი

ეკატერინე ტიკარაძე

